

# თავისუფალი

# გზის

საქართველოს რესპუბლიკის სახანაო  
გზების მუშა-მოსამსახურეთა პროფე-  
სიონალურ კავშირის ცენტრალურ გამ-  
გეობის ყოველი კვირეული პროფესიონა-  
ნალური და პოლიტიკური ორგანო.

16/17-65  
8

**კალაქია**

თბილისი, ელისბედის ქ., 200

რედაქტორი იღებს კვირა-  
უქმების გარდა ყოველ  
დღე ნაშუადღევს 5-7 ს.

რედაქციის ტელ. 2-98

გამოცემის მარშალთა

**საქართველო**

ლიან უფველ დღე დიდის  
9-3 საათამდე.  
მიიღება განცხადებები  
სტრიქონი ღირს 50 კაპ.  
რედაქცია სთხოვს ამ-  
ხანაგებს მოგვარდონ  
ლიანდაგიდან მასალე-  
ბი და წერილები საქირ-  
ბორტო კითხვებზე.  
დაბეჭდილ წერილების ავ-  
ტორებს მიეცემათ გასამ-  
რჯელო იმ შემთხვევაში,  
თუ მას მოითხოვენ გა-  
მომავლილ წერილზე ზედ  
წარწერით.

№ 12

თბილისი, თბილისი, 24 მარტი 1919 წელი.

№ 12

რაინის გზის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის  
კულტურულ-საზოგადოებრივი განვითარება მიმართავს თსრმით  
რაინის გზის ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციას, მათ კარგად  
წარმოადგენს და ყველა პოლიტიკურ მოღვაწეებს მიიღონ მო-  
წოდებული ანტი-კომუნისტური რაინის გზის რეპო-  
ლიტაციური მოძრაობის ისტორიის შედეგად.

გამოგზავნილი მასალები უნდა ეხებოდნენ რევოლუციის კერძო ებიზო-  
დებს, მოვლენებს და ფაქტებს დაწვებული ამიერ-კავკასიის რაინის გზებზე  
რევოლუციონერ მოძრაობის ჩასახვიდან.

საქიროა აგრეთვე წარმოადგინონ კერძო მოღვაწეების და რევოლუცი-  
ონურ მოძრაობის ღირსეულ გამარტების ბიოგრაფიული ცნობები.

მასალების გამოგზავნის დრო თავდება 15 აპრილს. ყოველგვარი მასა-  
ლები უნდა გამოგზავნილ იქნას „თავისუფალი გზის“ რედაქციაში, ელისა-  
ბედის ქ. № 200.

## დაფუძნებული კრება და მუშათა კანონმდებლობა

საქართველოს დემოკრატიამ შე-  
სდლო ბევრი სოციალური მუშათა კან-  
ონმდებლობის ცხოვრებაში გატარე-  
ბა. 8 საათის სამუშაო დღე, კოალი-  
ციის და გაფიცვების თავისუფლება და  
სხვა, ეს დიდი მოპოვებაა მუშათა  
კლასისთვის მაგრამ საქიროა ეს ბრძო-  
ლით მოპოვებული უფლებები დაკან-  
ონოს ჩვენს ქვეყნის უზენაესმა ორ-  
განომ, — დამფუძნებელმა კრებამ.

დღემდე თითქმის არც ერთ ქვეყ-  
ნაში არაა კოალიციის სრული თავი-  
სუფლება. თვით დემოკრატიულ ქვეყ-  
ნებშიც კი, როცა მუშები მოითხო-  
ვენ კოალიციის თავისუფლების გან-  
ხორციელებას, მათ წინააღმდეგ სას-  
ტიკათ ილაშქრებენ, ტყვიით და მა-  
თრახით უმასპინძლებიან მათ. მხო-  
ლოთ ჩვენში აქვს ეს თავისუფლება  
მუშათა კლასს. დღე ცოტა იყოს სელ-  
ფასი, — ეს არაა იმდენათ საიზო. სა-  
შიშოა მხოლოთ აი ამ თავისუფლება-  
თა დაკარგვა. ჩვენში კი პროლეტარია-  
ტმა არა თუ შესდლო ამის შენა-  
ჩუნება, არამედ შესდლო კიდევ უმრავ-  
ლესობა თავის წარმომადგენლებისა  
გაეყვანა დამფუძნებელ კრებაში, რო-

მელიც, იმედია, დააკანონებს ამ ბრძო-  
ლით მოპოვებულ უფლებებს.

თითქმის ყველა ქვეყნებში დაზღვე-  
ულია მოხელეები. ისინი შრომის უნა-  
რის დაკარგვის დროს იღებენ პენსიას.  
მათ ინახავს სახელმწიფო.

მუშათა კლასი კი მოკლებულია  
ყველა ამას. მას, როგორც ლიმონს,  
სწოვენ წვეწვს კაპიტალისტები მანამდე,  
სანამ ეს შესაძლებელია. მერმეთ კი  
ისვრიან ქუჩაში, სადაც ის ლევს  
უკანასკნელ დღეებს.

შრომის ბაზარი ვერაა ისე მოწყე-  
რიგებული, რომ პროლეტარიატი უზ-  
რუნველი იყოს ლუკმა პურიით  
მან არ იცის ხვალ ექმნება სამუ-  
შაო, თუ იძულებული იქმნება ჩაე-  
წეროს „შრომის სათადარიგო რაზმ-  
ში“. ასეთი მდგომარეობა კი ხელს  
არაა პროლეტარიატს თავის კლა-  
სიურ ბრძოლაში. ეს მდგომარეობა  
ამონებს მას და ქედს ახრევენებს კა-  
პიტალის წინაშე.

ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, ხალხის  
მიერ არჩეული უზენაესი კანონმდებ-  
ლობითი ორგანო მიაქცევს ჯეროვან  
ყურადღებას მუშათა სოციალურ მდგო-  
მარეობას და დააკანონებს მუშების სო-  
ციალურათ უზრუნველყოფას უმუ-  
შევრობისა და ავადმჯობის დროს

და აგრეთვე ჯანმრთელობისა და შრო-  
მის უნარის დაკარგვის დროს. საქი-  
როა მუშების დაზღვევა ასეთ შემთხვე-  
ვებში. ეს კი სახელმწიფოს საქმეა.  
თუ მოხელეები სახელმწიფოს საქმეს  
აკეთებენ, მუშებს უფრო მეტი საო-  
გებლობა მოაქვთ სახელმწიფოსთვის  
თავისი შრომით.

მართალია, ყველა ეს მეტათ დიდ  
ხარჯებს გამოიწვევს სახელმწიფოს  
მხრით, მაგრამ თუ სახელმწიფოს და-  
ცვის საქმეზე იხარჯება აუარებელი  
ფული, ცოტა აქაც უნდა დაიხარჯოს,  
ვინაიდან ესეც სახელმწიფოს საქმეა.

თუ მუშა არ იქმნა სოციალურათ  
უზრუნველყოფილი, თუ ის მშვიერია  
და ღაფავს სულს, აშკარაა, ის ვერა-  
ვითარ სარგებლობას ვერ მოუტანს  
სახელმწიფოს, ეცემა მისი შრომის ნა-  
ყოფიერება და თვით სახელმწიფო ნა-  
ხულობს დიდ ზარალს.

საქიროა წყაროების გამოჩახვა, თუ  
საიდან უნდა დაიფაროს ეს ხარჯები.  
წყარო კი არის გადასახადის გაწერა  
კაპიტალის პატრონებზე. მუშების  
შრი მით ისინი ფუფუნებენ. ამიტომ  
მათ უნდა გამოიღონ სახსარი მუშების  
სოციალურათ უზრუნველყოფისთვის.

მუშების დაზღვევა ფართედ თით-  
ქმის არც ერთ სახელმწიფოში არაა  
გატარებული. მხოლოთ გერმანიაშია  
მუშების სახელმწიფოებრივი დაზღვევა  
უზრუნველობისა და სიბერის დროს. ამ  
საგნისთვის კაპიტალი ამ უამათ გერ-  
მანიაში 80 მილიონს უდრის. ეს ფონ-  
დი შესდგა გადასახადისგან, რომლის  
2/3 იხდიან კაპიტალისტები, ხოლო  
1/3 მუშები.

დამფუძნებელმა კრებამ უნდა მიაქ-  
ციოს დიდი ყურადღება სახელმწიფოს  
ბიუჯეტის შედგენას. უზრუნველეთ არ  
შეიძლება სახელმწიფოს არსებობა. და  
აი ამ ბიუჯეტის შედგენის დროს მან  
უნდა შეხედვლობაში მიიღოს მუშათა  
სახელმწიფოებრივი დაზღვევა უმუ-  
შევრობისა, სიბერისა და სხვა უბე-  
დურ შემთხვევების დროს.

## მკრილდა სიტყვა შრომის ნაყოფიერების აწევაზე

ამ დღეებში მომხდარ რკინის გზელ-  
თა კომფერენციამ აღიძრა მეტად სა-  
ყურადღებო საკითხი, რომელიც დღეს  
დიდ კმათს იწვევს როგორც მოწინავე  
მუშათა წრეებში, აგრეთვე მთავრობის  
სფეროებშიც.

ჩვენს სამუშაოზე, რევოლუციის  
შემდეგ შრომის ნაყოფიერება დაეცა,  
ერთგვარმა ინდიფერენტმა იჩინა თა-  
ვი არა თუ მართო რკინის გზაზე, არა-  
მედ საერთოდ თითქმის წარმოების  
ყველა დარგში.

შრომის ნაყოფიერება დაეცა 200—  
300 და მეტი პროცენტით, წარმოება  
იღუბება, საქმე არ კეთდება, — ამას  
გაიგონებთ დღეს ყოველ ფეხის გადა-  
დგმაზე.

მართალია, ამ მოვლენას აქვს ისი  
საპატიო მიზეზები. საერთო არევა-დარე-  
ვამ და ანარქიამ, რასაკვირველია, აქაც  
იქონია დამღუბველი გავლენა, შიმშილი-  
მა, ეკონომურად დაქვეითებამ და სა-  
შინელომა სიძვირემ დაუკარგეს მუშებს  
მუშაობის ენერჯია. რა უნდა გააკე-  
თოს იმ მუშამ, როგელიც მთელი  
დღეობით ლუკმა პურის შოვნაზე ფი-  
ქრობს, კუჭი სიმშლით უხმება, ცოლ-  
შვილი დაავადებული ყავს და განად-  
გურების გზაზე დგას?

აშკარაა, შრომის ნაყოფიერება უნდა  
დაცემულიყო, მაგრამ არც ისე, რო-  
გორც ამას ვხედავთ დღეს.

ამგვარად შრომის ნაყოფიერების და-  
ცემაში მართო გარევე მიზეზები კი არაა  
დამნაშავე, არამედ ზოგიერთ შემთხვე-  
ვებში თვით მუშებიც. აი ამას მიაქ-  
ციოს ყურადღება მოწინავე ამხანაგებ-  
მა და საქიროთ დაინახეს ზომების მი-  
ღება.

ადმინისტრაცია ფიქრობს ნარდათ  
მუშაობის შემოღებას, არტელების  
დაწესებას და სხვა...

ცხადია, ასეთი ზომები ასწევენ შრო-  
მის ნაყოფიერებას. მაგრამ ეს ვერაა



კითხვის სწორად გადაჭრა. ჩვენ ვიცით, თუ რა ზიანი მოაქვს მუშათა კლასისთვის ნარდათ მუშაობას. ნარდათ მუშაობის დროს მუშა მცადონებს რაც შეიძლება მეტი დაამუშაოს, მისთვის არაა დასვენება. და ამგვარად ის კნინდება, ჩრჩება საზოგადო ცხოვრებას, ქვეითდება, კარგავს კლასობრივ შეგნებას, ანებებს თავს ორგანიზაციულ მუშაობას და დგება ფიზიკურად განადგურების გზაზე.

ამიტომ, რომ მუშათა ორგანიზაციები ყოველგან და ყოველთვის მოითხოვდნენ ნარდათ და ზედმეტი საათების მუშაობის მოსპობას. დიდხინის ბრძოლის შემდეგ ეს წესი მოსპეს მუშებმა და, ცხადია, დღეს მუშათა ორგანიზაციები ვერ დაუბრუნდებიან ამ ძველ წესს.

მაგრამ ამავე დროს მუშათა ორგანიზაციებს არ შეუძლიათ არ მიაკციონ ყურადღება შრომის ნაყოფიერების დაცვას, ვინაიდან ამ გარემოებას მოყვება წარმოების განადგურება და საზოგადო რესპუბლიკის დინგრევა. ეს კი მოუტანს თვით მუშებს დიდ ზარალს. დაღუპვის გზაზე დამღარი წარმოება ვერ დაეკმაყოფილებს მუშებს, დაიკრება და აუარბელი მუშები უმუშევრათ დარჩებიან. ავიღოთ კერძოთ რკინის გზა. თუ აქ არ იიწია შრომის ნაყოფიერება, ის დიდი დეფიციტი, რომელიც ეხლა აქვს გზას, კიდევ გაიზრდება, გზის მდგომარეობა მიიღებს საწინებლ ხასიათს და გზა არა თუ ვერ შესძლებს მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიურ მდგომარეობის გააუმჯობესებას, არამედ არსებულ ჯამი-გირსაც ვერ მისცემს თავის დროზე.

ამიტომ საჭიროა შრომის ნაყოფიერებას აწევა. ეს კი შესაძლებელია იმით, რომელიც გამოიხატავს ამ დღეებში დასრულებულმა კონფერენციამ. შრომის ნორმიროვკა და რეგისტრაცია აუცილებლათ საჭიროა. ამ რვა საათის სამუშაო დღის განმავლობაში განსაზღვრული საქმე უნდა გააკეთოს მუშამ, თუ ის ამას არ გააკეთებს, უნდა მოეთხოვოს პასუხი. ეს წესი უკვე შემოიღეს რკინის გზის მთავარ სახელოსნოში და კიდევ მოყვება ამას დიდებით შედეგი, — წარმოებაში იმატა. გარდა ამისა საჭიროა მიეცეს წარმატება სამსახურში პატიოსანს, საქმის ერთგულ და ენერგიულ მუშა-მოსამსახურეებს. ეს კი დაანტერესებს ენერგიო მუშებსაც მუყაითად მოკიდონ ხელი დაკისრებულ საქმეს.

ამასთანავე ერთად საჭიროა გზა გაიწმინდოს იმ უოქმედო ადმინისტრატორებისგან, რომლებსაც დიდი ზიანი მოაქვთ გზისთვის. თუ ადმინისტრატორი არაა საქმეში გამოცდილი და ენერგიით სავსე პირი, ის დიდ ზარალს მოუტანს საქმეს. და აი ამ მხარესაც უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

### ს კ მ ლ ე ბ ი

ამ უკანასკნელ ხანებში რკინის გზის ზოგიერთ წრეებში თუ ორგანიზაციაში ასმუბა კითხვა ჯამიგირიდან სსკოლო ფუნდისთვის 10%-ის გამოქვეითების შესახებ.

სსკოლო ფუნდი შექმნა ამიერ-კავკასიის რკინის გზათა დეპუტატების მესამე ყრილობაში. აი მასშინ მიღებული რეზოლუცია:

„უცნობთ რა სკოლას განათლების მძღვრ იარაღთ მშრამეული სახლის შეგნებული საწილის ხელში სამუდამით აღმოსაფხვრე-ლათ სიბნელისა და უშეცრების, რეაქციის ამ ბურჯების, — ურილობა სცნობს აუცილებელ საჭიროთ სკოლების დემოკრატიულ ნიდაგზე გარდაქმნას, რომ ამხინად სკოლა გამოვიდეს ჭეშმარიტ გზის მანუენებელ ღამწრათ ეგვლა ხალხის თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობისაკენ. ასეთ და-ნიმუშებთან შეუძლია ემსახუროს მხოლოდ ერთ ეგვლა ხალხის სკოლას. ურილობა სოფლის აუცილებელ საჭიროდ გადადვას ნაბიჯები ასეთი სკოლის შესაქმნელად, სა-ხელდობრ: 1) გამრავლდეს ზირველ დაწეუ-ბითი სკოლების რიცხვი გზებზე, 2) გა-შენდეს საბავშვო ბაღები და ხალხუნი, 3) გაძლიერდეს სსკოლო შენობათა შენე-ბა, 4) გაიხსნას საღამოს კურსები მოზრ-დილათთვის. ერთსულოვნად ვადგენთ გამო-ერიცნოს მუშა-მოსამსახურეებს 10% ჯამი-გირიდან სკოლის საქმისთვის მანამდე, ს-ნამ სსკოლმწიფოს არ აქვს შეძლება გან-ხორციელდეს ერთიანი სკოლის — უფასო სწ-ვლის პრინციპი“.

რასაკვირველია, პრეტენტების გამოტო-ცხვან-არგამორიცხვის საკითხის გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ მომავალ ყრილობას და მანამდე კი ფორმალურად და იურიდიუ-ლად არც ერთ რკინის გზის ორგანიზა-ციათაგანს არ აქვს უფლება ეს კითხვა ასე თუ ისე გადაწყვიტოს, მაგრამ ამხანაგების სსკოლადებოდ საჭიროა ესლავე განაცხა-დოთ, რომ ის ზირობები, რომლებიც შე-სამე ყრილობას ქტონდა სხეში, დღესაც არსებობენ. საერთო სწავლის პრინციპი დღესაც არაა ცნობრებაში გატარებული. მთავრობას არ შეუძლია დღევანდელ პირო-ბებში ეს საქმე ჩააყენოს ნორმალურ კადა-პეტში, ვინაიდან ის დღეს განიცდის ფინანსიურ კრიზისს. ჩვენ ვერ მოვიხივოთ დღეს მთავრობას, რომ აძლიოს მატერია-ლური საშუალებანი ეგვლა სკოლებს და შე-მოადოს უფასო სწავლა.

ამიტომ რკინის გზის დემოკრატია მო-ვალეა თავის სკოლებს ჯერ კიდევ აძლიოს ის სახსარი, რომელსაც ამდენხანს აძლევდა ამ ერთი პრეტენტიდან დღეს ბევრი საქმე კეთდება გზებზე. შენებითი მუშაობა სსკოლო საქმეში იღებს ფართო ხასიათს, შენდება სკოლებისთვის ახალი და შესა-ფერი შენობები, რეკორც თბილისში, ავ-რეთვე ღაანდაგზე, არსდება სკოლებში სხვა და სხვა სახელსნებები, შენდება ბაღები, განაგრძობენ არსებობას ბავშვების თავმესაფრები და სხვა...

ვინ გააკეთებს ყოველივე ამას, რომ რკინის გზის დემოკრატიაში აიღოს ხელი

სსკოლო საქმისგან? აშკარაა, ამდენი ნაშ-როში დაიღუბება, დაინგრევა.

ამიტომ ჯერ-ჯერობით ფიქრი იმის შე-სახებ, რომ ჩვენ მოვიხსნათ თავიდან სს-კოლო ხარჯები და დავაფლოთ მთავრობას სკოლების შესახებ, მეტად ნადრევა.

პლემბი.

### სკოლავის მდგომარეობა რკინის გზაზე

ეგვლასთვის ახანური ჭეშმარიტებაა, რომ თუ სსკოლმწიფოში სკოლები და მისი ცნობრება მოუწიებელია, მასშინ თვით სს-სკოლმწიფოს დედა-ძარდვი არა ნორმალუ-რად ფუქს და მას სრულ მოდუნებას და სიკვდილს უქადის. ამისთვისაც არის, რომ ეგვლაფერზე მეტ ურადლებას განათლებუ-ლი სსკოლმწიფოები სკოლას აწერებენ და მასწავლებელთა ზიროვნებას დიდის სიფა-ქიზით ეწერობიან. სკოლა, ეს სარკე სა-ზოგადოებრივ და სსკოლმწიფოებრივ ცხო-ვრებას, გამომსატყველთა ერის აწმულისა და მუთადისა. როდესაც ამ ჭეშმარიტებას შეიგნებს ადამიანი და მერე გადახედავს ჩვენს სკოლებს, მწარე დიმილი მთუა. მე-რე სად არის სკოლები თავის ბუნებრივ სამადლეზე მდგომი და თუ არ არის, რა მოულის ჩვენს სსკოლმწიფოებრივ ცხო-ვრებას?

განსაკუთრებულ სსწმუხარო მდგომარეო-ბაში არიან რკინის გზის სკოლები. ჯერ კიდევ ძველი რეჟიმის დროიდან მოკიდუ-ბული, რკინის გზის სკოლები მატერია-ლურად უფრო უზრუნველყოფილნი იყვნენ და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ უ-ველი მასწავლებელი მისწავლად მისკენ. რკინის გზის სკოლაში სამსახური უნდადს როგორც საღსა და სსსარკებლო მასწავლე-ბელს, ისე უფარგისს, მარა ამავე დროს „დიდი კაცების“ წაღობის თვალთ და-ჯილდოებულს. ზირველს — კარებს უხმობ-დენ, უარს ეუბნებოდენ, მეთრეთ კი სია-მთხებით დებულობდენ. მკითხველს ადბდ გაუკვირდება ასეთი უკუღმართობა, მარა ეს ასე იყო და იცით, მკითხველო, რით ხელ-მძღვანელობდა რკინის გზის სამოსწავლო მთავრობა მასწავლებლის დანიშნაში? აი რით: რომ ადგილი მიეღო მასწავლებელს, უპირველეს ყოვლისა ის უნდა ყოფილიყო რკინის გზის მოსამსახურის შეილი ან ახ-ლობელი ნათესაუი (sic!).

აშკარაა, რომ ასეთ პირობებში პრეტექ-ციას დიდი გასავალი ქტონდა და დაწეუ-ლი ბობოლა ჩინოფიკიადგან და გათავებუ-ლი დარაჯით ეგვლას თავისი კანდიდატი ქტვანდა. სსწავლებლები ივსებოდა უმეტეს ნაწილად უფარგის ელემენტებით, სოფეკუ-ნა ხალხით და „მამენინა დოჩკებით“; სს-დი ზედაკოგოური პრინციპები და მათი ჭეშმარიტი მსახური თანდათან იღვენებო-დენ. ამით ადგილს იტყრდა მშრალი ფორ-მალისტიკა, უსისტემო და უნიდაგო მე-ცადინეობა, ღოთობა და სხვა მარკალიტე-ბი. თუ ასში ერთი მასწავლებელი გამოჩ-ნებოდა თავის სიმადლეზე მდგომი, ვაი მისი ბრალი! აქ დაიწყო ბოდა მისი ტანჯვა

და დვენს! საილიუსტრაციოდ, მკოლმე-ცოცხალი მაგალითების მოყვანა, მარა უკუ-გვეგონის ნათქვამში ეჭვი ბეჭდს უქვს. აი ასეთი იყო ძველად რკინის გზის სკო-ლები, ესენი იყვნენ „თავმესაფარნი თა-ვიანთებისთვის“.

მდგომარეობა შეიცვალა, ძველი სსკოლ-მწიფოებრივი წყობილება დაინგრა და რკი-ნის გზის ხალხის ფერ შენობებში, თითქო მზის მაცოცხლებელმა სხაგვამა შეანთეს და სსწერობილებში მჯდომი ჩვენს დედა-ქნა, გადაგვარებულ სკოლების წაღობით ერთ წერტილზე უძრავად გაუიწული, გა-ათბეს და სიცოცხლე დაურუნეს. აჭიკჭიკ-და სკოლის დერეკუნებში მშობლიურ ენაზე თავისუფლად მოტიტინე მოზარდი თაობა და ძველი ხელმძღვანელები — უცხო ტომის ხალხი იძულებული გახდა გუდასხადაიკერა.

აირჩა ახალი შემადგენლობა, ძველთან შედარებით განილებით უკეთესი და სა-სურველი, მარა მთლად ვერ გაიწმინდა რკინის გზის სკოლები და პრეტექციას მანინ აქვს გასავალი საუბედუროდ. შე არ მანდა ამ წერილთ ვინმე გაგამტყუებო, ან შეურაცხეუო. მე მხოლოდ მინდა სათა-ვეში მდგომ საქმის ხელმძღვანელებს მი-უუთითო, რომ რკინის გზის სკოლებს, თუ მატერიალურად ისინი კვლავც გან-გრძობენ მასწავლებელთა უზრუნველყოფას (შეღარებიან!), მუდამ მასწავლებელთა საუ-კეთესო ნაწილი მოაწვდებთ და მათ შორის უნდა ირჩიოდეს დირსეული და სსსურველი ზიროვნება...

რადგან სკოლებზე ჩამოვარდა ღამწრავი, სკოლმეტი არ იქნება ჩვენს უწეუბას ერთს მეტად დიდ ხაკლზე მიუუთითოთ, რომ ის ამითხვრას და მომავალში არ განსე-ორდეს შუა წელიწადში მასწავლებელთა გადაყვან-გადმოყვანა, ეს ისეთი ბოროტება და დანაშაულია, რომ უარესად წარმოდგენს შეუძლებელია ასეთის კომბინაციებით ის სკოლაც ქტარგავს, რომლიდან მიტყუთ მასწავლებელი და ის სკოლაც, რომელშიც გადატყუთ. მასწავლებლებიც გაკანდიერდენ და ადარ კრიდების შუა წელიწადში სკო-ლიდან სკოლაში სკოინობას, რომ ამით უკეთ მოაწეონ თავიანთი ცნობრება, ამის სსწინააღმდეგო კანონი უნდა იქმნას გამო-ცემული, რომ მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში და საქმისთვის სსსარკებლოდ ხდებოდეს შუა წელიწადში გადაყვან-გად-მოყვანა და არა თვით მასწავლებლის სურ-ვილისამებრ. თუ ამასე არ იქმნა ურად-ლება მიქცეული, სკოლები დაეცემა, თავის მნიშვნელობას დაქტარგავს და ამაში ბრალი მთავრობასაც დაეღება.

ნარი.

### კონფერენცია რკინის გზის პაპშირკების წარმომადგენ-ლებისა

(გავრძელება)  
თავლიშვილი. მთელი მუშა-მოსამსა-ხურების სურსათით დაკმაყოფილება ჩვენ ძალას აღემატება. დღევანდელ შექმნილ მდგომარეობაში შეუძლებე-ლი ხდება იმდენი სურსათის შეტენა,



რომ ყველას ეყოს. მე რამოდენიმეთეთანხმები ხაზიდ: ამოსულ ამხანაგებს: მართალია, სურსათის განაწილება არ ხდება თანაბრად, მაგრამ ამაში ჩვენ ნაკლები ბრალი მიგვიძღვის ბრალდება, თითქოს არაფერი შეგვეძინოს, არ არის მართალი. დეფექტებს მართალია ქონდა ალაგი, მაგრამ ვცდილობთ ამ დეფექტების და შეცდომების გამოწვევას. შტატის გაწმენდის საკითხი შეტად მწვავედ სდგას ჩვენს წინაშე. მწელი არის პატროსანი და ვაქრობაში გამოცდილი პირების მოვლა, ზოგიერთ შემთხვევებში ამიტომ იძულებული ვართ კომპრომისებზე წავიდეთ. სარევიზიო კომისიის აქტი უფრო მაგრად არის შედგენილი, ვინც ებრაელობის დღევანდელი სიტყვა. სასურსათო საქმეში ახალი სისტემის შემოღება დიდი ხანია გვიწოდდა, მაგრამ ამაში ხელს გვიშლიდნენ რაიონები, უმთავრესად სახელოსნოსი, საშუალებას არ გვაძლევდნენ ფურნები და მალაზიები ჩაგვებარებია და შესაფერისი შტატი შეგვედგინა. სურსათის შეძენის უფლება უნდა ქონდეს ცენტრს და არა რაიონებს. საქმისთვის ეს აუცილებელია; ამის მაგალითს გვაძლევს თვით რაიონების მუშაობა.

**ნებიერიძე.** მე არ მინდა ვინმე საბრალდებულო სკამზე დაგვსა. აქ თქვენ სთქვით, რაიონები მოკლებული იყო ინიციატივას სურსათის შეძენის საქმეში—ეს მართალია. ცენტრიდან რაიონებს წართმეული ქონდათ უფლება სურსათი შეეძინათ. ხშირი იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც შეიძლებოდა ბაზარზე საქონლის შეძენა, მაგრამ ამისთვის ჩვენ არც ფული გვქონია და არც უფლება. მთავარი რწმუნებულის აგენტები კი არა სჩანდნენ. ამიტომ მოკლებული იყვენ ჩვენი მუშა-მოსამსახურეები სასურსათო დახმარებას. რაც შეეხება ბოროტ-მოქმედებას, ამაზე შემძლია ვთქვა შემდეგი: ჩვენ ხშირად ვიჭერთ აშკარა ბოროტ-მოქმედებაში, მა თუ იმ მოსამსახურეს, მაგრამ მათ წინააღმდეგ კი მაინც არავითარ ზომებს არ ღებულობენ, და დღესაც თავისუფლად განაგრძობენ ის ვაჟბატონები თავის მუშაობას.

**პატარიძე.** სასურსათო კომიტეტების არსებობა თუ როდისმე საქირო იყო, ეს მით უმეტეს აუცილებელია დღეს. სასურსათო კომიტეტი რომ თავის სიმაღლეზე ვერ სდგას, ეს დღეს ყველასთვის აშკარაა. პროვინციაში მყოფი მუშა-მოსამსახურეები სრულიად უწყურადღებოდ არიან მიტოვებულნი, როგორც სჩანს ცენტრს ბეტს ანგარიშს უწევენ, ვინც პროვინციას. ეს დიდი ნაკლია სასურსათო კომიტეტისა. ამ არა ნორმალურ მდგომარეობას აუცილებელი ბოლო უნდა მოეღოს.

საქიროა რაიონულ კომიტეტებს მივსცეთ საშუალება თავისუფლად მოქმე-

დებისა. კარგია ცენტრალიზმი, მაგრამ ფაქტები გვეუბნებიან, ამას სასურსათო საქმეში ვნების მეტი არაფერი არ მოაქვს. მთავარი სასურსათო კომიტეტის ხელმძღვანელებმა უნდა ჩაუტვირთონ ამ მდგომარეობას და მიიღონ ყოველივე ზომები საქმის კარგად დასაყენებლად.

**დ. ათაბეგი** უპასუხებს ორატორებს. რკინის გზის ადგილობრივი სასურსათო კომიტეტების გაუქმება მოხდა საქართველოს ცენტრალურ სასურსათო საბჭოს და სასურსათო სამინისტროს კათეგორიული მოთხოვნით. ხსენებულ საბჭოს მიზნად ჰქონდა და დღესაც აქვს რესპუბლიკის საზღვრებში არსებულ ცალ-ცალკე სასურსათო ორგანიზაციების შეჯიბრებით არ მოხდეს არა ნორმალურად ფასების აწევა პირველ საქიროების საგნებზე; მისი მიზანია გააერთიანოს მთელი რესპუბლიკის სხვა და სხვა უწყების სასურსათო ორგანიზაციები, რომელთა შორის შეძლებისა და გვარად თანასწორად განაწილდეს ერთნაირ ფასებში შეძენილი ესა თუ ის საქონელი; ასეთი გაერთიანება სურსათის დამზადების საქმეში მოითხოვდა გაუქმებას არამც თუ რკინის გზის ადგილობრივი სასურსათო კომიტეტების, რომელნიც საკუთრივ არ აწარმოებდნენ სურსათის დამზადებას, არამედ ისეთი დიდი სასურსათო ორგანიზაციების, როგორც არის ქალაქთა კავშირი, ლაშქრისთვის პურის დამამზადებელი კომიტეტი და სხვები, ჩაყენებულ იყვნენ განსაზღვრულ ფარგლებში. რკინის გზის მთავარი სასურსათო კომიტეტი სრულიად იზიარებდა ცენტრ. სასურსათო საბჭოს ასეთ შეხედულებას და დღესაც მასთან შეთანხმებულად მუშაობს; მიზანშეწონილად მიაჩნია მისი სასურსათო პოლიტიკა, რადგანაც ცალცალკე სასურსათო ორგანიზაციების შეუთანხმებლად მუშაობას ყოველთვის მოსდევს უარყოფითი შედეგები, რის მაგალითები ბევრია. ავიღოთ, მაგალითად, ქართოფილი და პურის ფაქცილი, რომელიც შეძენილია შეუდარებლად მაღალ ფასებში ცალ-ცალკე ორგანიზაციების მიერ, ვიდრე იგივე სურსათი შეძენილი იყო მთავარ სასურსათო საბჭოსთან შეთანხმებით.

კონფერენციის ზოგიერთმა წევრმა გვისაყვედურა, რომ სასურსათო კომიტეტმა ფულის გაფლანგვისათვის ზოგიერთი პირი სასამართლოს არ გადასცა. ზოგნი ამტკიცებდნენ, რომ საანგარიშო ნაწილის ცუდად დაყენების გამო თვით სასურსათო კომიტეტმა არ იცის რაოდენობა გაფლანგული ფულისა.

კონფერენციის ერთმა წევრთაგანმა საკმაოდ დაასურათა, თუ რა წინაღმდეგობა ხვდებოდა მას ახალი სისტემის შემუშავების დროს საქმის ყოველგვარ დასაწყისში. ჩვენ პირდაპირ გვე-

უბნებოდნენ: ეს თქვენი საქმე არ არის, ჩვენ ამოგვიჩიეს, ჩვენ მოგვანდევს და ჩვენ ვართ ამომჩივევლთა წინაშე პასუხისმგებელიო. ასე იღუბებოდა ყველაფერი. მე იძულებული ვიყავი წარმეგინა დელეგატთა ყრილობისათვის არსებული სისტემა, ე. ი. ცენტრალიზაცია სასურსათო საქმისა. როდესაც სასურსათო კომიტეტის აგენტები ადგილობრივად შეუდგნენ წინააღმდეგი წარმოების სახის ახალ სისტემაზე გადაშეშვებას, ვერაფერს პოულობდნენ. დახვდათ მხოლოდ დაბურღული საქმეები, რომელშიაც არაფერი სჩანდა; აი ამ ქაოსიდან საქირო იყო მომავალ მუშაობისთვის ცოცხალი თესლები ამოჩივია. სალიკვიდაციო კომისია თავისი ძნელი შრომით ნელ-ნელა ამტკიცებს სრულ უგეგმო მუშაობას, რომელშიაც იღებდნენ მონაწილეობას მთელი რიგი სასურსათო კომიტეტში მომუშავეთა. რომ ვინმეს დაუმტკიცოთ ბოროტმოქმედება, აუცილებლად საქიროა მეტი დრო და შრომა. ვფიქრობ, რომ ამნაირად დაბურღული საქმის წარმოებაში თვით იდეალური ბუხპალტერია ვერაფერს გახდებოდა.

მტკიცება იმისი, რომ სურსათი კანონიერად არ ნაწილდება, რომ თბილისის კვანძი უკეთეს პირობებში იმყოფება, ვიდრე ლიანდაგი, სიმართლეს არ შეეფერება, რადგანაც არაფერი განსხვავება არ არის სურსათის მიწოდების საქმეში თბილისის კვანძში და ლიანდაგის მომუშავეთა შორის გარდა პურისა. კომიტეტის აზრით ეს უპირატესობა რომ არ ჰქონდეს თბილისელს, მათი მდგომარეობა აუტანელი იქნებოდა.

ყოველ შემთხვევაში სინამდვილის არ მცოდნეთ შეუძლიათ წამოაყენონ ასეთი ბრალდება, რომელიც უარყოფილი იქნება ციფრებით და რომელსაც წარმოგიდგენთ ანგარიშის დროს.

ის, ვინც ამტკიცებდა სურსათის უკანონო განაწილებას, თხოულობს კოოპერატიულ ორგანიზაციას, ხოლო ახლად მიღებული სისტემა სურსათის მიწოდებისა მიაჩნია უვარგისად. მე ვიტყვი, რომ მას არაფერი წარმოადგენა არა აქვს იმაზე, თუ რაზე მსჯელობს, რადგანაც სავაჭრო ლუქნები, რომელსაც ჩვენ ვაღებთ, არის სისტემა კოოპერატიული. მაგრამ აქ, როგორც იტყვიან, ძაღლის თავი სულ სხვა ადგილას მარბია. ვინც ამტკიცებს საქიროებას ცალ-ცალკე კომიტეტებზე სურსათის დამზადების უფლების მიცემის შესახებ, ვინც ამტკიცებს, რომ კოოპერატიული სისტემა უარესია წინააღმდეგე, სურს ხელახლა აღადგინოს წინააღმდეგი თავიანთი უსისტემო ბატონობა სასურსათო საქმეში, რომელმაც დაუტოვა არსებულ ორგანიზაციას აუარებელი ვალები. და დღეს, წინეთ დაბნეულად საქმის წარმოების


გამო, ვერ ვპოულობთ დამნაშავეთა ვინაობას სამართალში მისაცემად. იმგვარი მაქვს, რომ კრიტიკულად მოახლოვნი ამხანაგები არ მოინდომებენ განმეორებას წინააღმდეგ სამუშაო მოვლენებისას. რაც შეეხება გადაფასების გამო საყვედურებს, ეს გამომდინარეობს საქმის უბრალო უცოდინარობისაგან.

რკინის გზის სასურსათო კომიტეტის მალაზიებში ფასები საქონლისა დიდძალ უფრო დაბალია, ვიდრე იმავე საქონლის ფასი სხვა კოოპერატივებში. რაც შეეხება ბაზრის ფასებს, ამაზე ხომ ლაპარაკი უნდებოდა.

საქონლის ფასები არასოდეს ყოფილა მუდმივი, ის მუდამ განიცდის ცვლილებას. გადაფასება საქონლისა მოწიბობს მისი საორგანიზაციო აპარატის სიკარგეს, რომელიც მაჩვენებელია ბაზრის ფასების და პირობებისა; ამ შემთხვევაში ინტერესი მომხმარებლისა დაკულია, რადგანაც ფასები საქონლისა დიდძალ დაბალია სხვა რომელიმე ორგანიზაციასთან შედარებით.

საყვედური, თითქო მე არ ვცნობდენ ჩემს მუშაობაში არავითარ შეცდომებს, უსაფუძვლოა, რადგანაც არ შემძლია ვალიარო ის, ე. ი. შეცდომა იქ, სადაც ნამდვილად არ ყოფილა და არ არის, ხოლო საფუძვლიანი, მიუდგომელი კრიტიკა აუცილებელ საქიროდ და სასარგებლოდ მიმაჩნია ყოველი საქმისათვის.

დასასრულ, რაც შეეხება ათი ათასი მანეთის ჯილდოთ მიცემას აშხ. ჩაჩიბაისთვის, ეს საკითხი საქიროა გაშუქდეს უფრო ფართედ, რათა ბოლო მოუღოთ იმ განცხადებებს, საქმის გარემოებას, რომელიც წინ უძღოდა აღნიშნულ თანხის ჯილდოთ მიცემას. აშხ. ჩაჩიბაის თან ჰქონდა სასურსათო კომიტეტის დიდი თანხა, რითაც ხანგრძლივ დროს განმავლობაში დიდ საშიშროებაში ჩავარდა. მას იქ ჯოჯოხეთურ პირობებში უხდებოდა ცხოვრება. ძალა-უფლება დღიდან-დღე ბოლშევიკების, მოხალისეების, ინგუშების შორის ხელიდან ხელში გადადიოდა. მას იმის რწმენაც არ ჰქონდა საღამოდან დღიდანის ცოცხალი გადარჩებოდა თუ არა. ყველამ ვიცით თუ რამდენი პატივცემული და საყვარელი ამხანაგების სიცოცხლე შეიწირა იმ გარდამავალმა ხანამ, რამდენი ძარცვა-გლეჯა, საშიშროება და განკითხვის დღეები თან ახლდა უფლების გადასვლას ერთი მთავრობის ხელიდან მეორეში. ამიტომ ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, თუ რა მდგომარეობაში იყო აშხ. ჩაჩიბაია ჩრდილოეთ კავკასიაში ყოფნის დროს; მას თან არ ჰყავდა ისეთი კაცი, რომ გაეზიარებინათავისი საიდუმლოება. თვისი კეთილი სახელის შესანარჩუნებლად ის ეწეოდა ასეთ საშიშროებას. ამიტომ ვამტკიცებ, რომ კომიტეტის მიერ მი-



ცემული ჯილდო 10,000 მანეთი სრულიად არ შეეფერება იმ მინიმალურ ხარჯებსაც კი, რომელიც გაწეული იყო ამხ. ჩაჩიბაიას მიერ მის ჩრდილოეთ კავკასიაში ყოფნის დროს.

აღნიშნავ რა ამ ფაქტს, მე დრმა მწუხარებით მივმართავ მკითხველის ყურადღებას იმ უკანონო საყვედურებზე, რომელიც თქმული იყო იმ კაცის მიმართ, რომელიც ერთი წუთითაც არ ფიქრობდა თუ რა საშიშროებაში ჩავარდა ის კომიტეტის საქმეების გამო. ამნაირად ყოველგვარი ლაპარაკი იმ 10,000 მანეთის გარშემო უნდა ჩაითვალოს უღირს ქორებად ანდა მიეწეროს საქმის ნამდვილ მდგომარეობის სრულ უცოდინარობას.

**ბერეჟიანი** თავის უკანასკნელ სიტყვაში ამბობს: ამხ. ათაბეგის ლოლიკას რომ მივყვით, გამოვა შემდეგი: ვიდრე ამ სისტემის სრული ლიკვიდაცია მოხდებოდა, ის პირნი, ვინც აშკარად დამნაშავენი არიან, უნდა ისტინენ თავთავიანთ ალაგებულად. ეს კი საქმეს დიდათ ავნებს. ჩემის აზრით ვის წინააღმდეგაც უკვე არის ბრალდებები, ეხლავე უნდა იყვნენ გადაყენებულნი. ამხ. ათაბეგი რომ იძახის, როგორ შეიძლება ასე აკადემიურად მსჯელობა, საქირაო სტატისტიკა, ციფრებზე დაყრდნობა და სხვ. დიან, როდესაც ჩვენ აქ გამოვდიოდით, სწორედ ციფრებზე ვეყრდნობოდით და არა ავლაბრის მექორე დედაკაცივით გვიკრიკანობდით. აქ ამხ. უგლავამაც სთქვა, რომ ამხ. მომხსენებელმა განაცხადებული საბუთები წამოაყენაო. ჩვენ გვეგონა ბევრს რასმე წარმოადგენდაო, მაგრამ ამისთანა რამ აქ ვერ წამოაყენაო. მე არ ვიცი, თუ ბ-ნ ცინცაბაძის არა ნაკლებ 150,000 მან. ზარალი განყენებულია, არაა ფაქტზედ დამყარებული, ან კიდევ, თუ ბ-ნი კორიტინის მეოხებით მე-9 რაიონმა ნახევარი მილიონი ზარალი ნახა და იგივე კორიტინი თავისუფლად ვაჭრობს პუშკინის ქუჩაზედ, ან კიდევ ბ-ნ მირიმანოვმა, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა დეპოს კომიტეტს, და ამ ზარალის მიყენებისთვის ის მაღლობსაც იმსახურებს სასურსათო კომიტეტისგან, და კინაღამ უმაღლეს ალაგს იღებს, ან კიდევ ბ-ნ სვანიშვილმა რა ზარალი აჩვენა მე-25 რაიონს, და ის ისევ განაგრძობს თავის ექსპერიმენტებს, თუ ეს ყველა განყენებულია, არაა ფაქტებზედ და სტატისტიკაზედ დამყარებული, რადან ვუწოდოთ ნამდვილი სტატისტიკა, მე არ ვიცი. აქ ამხ. ათაბეგმა სთქვა, ლაპარაკი და კრიტიკა ადვილიაო. საქმე ის არის, თუ ჩვენ ვერ შევძელით თქვენ გვაჩვენოთ სწორე ხაზიო. მე ამაში ვეთანხმები, რომ სასურსათო პრობლემა მეტად რთული და ძნელი კითხვაა, ამ სურსათის მოუწყობლობის გამო ბევრი დიდი იმპერიები და-

იქცა, რომ ობიექტური პირობები ხელს არ გვიწყობს ამაში, ასრულება იმის, რაც ჩვენ ძალ-ღონეს აღემატება, ძნელია, მაგრამ ამ საერთო ქაოსში თუ მეტ წინდახედულობას და ერთგვარ პასუხისმგებლობას ექნებოდა ალაგი, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არც ამოდენა ბოროტმოქმედებას ექნებოდა ალაგი.

მოხსენების გათავების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

1) სასურსათო საქმე რკინის გზაზედ ვერ არის მოწყობილი ისე, როგორც სასურველი და საჭირო არის, რაც იწვევს დიდ უკმაყოფილებას მუშა-მოსამსახურეებში, რის გამო კონფერენცია აუცილებელ საჭიროდ აღიარებს რკინის გზაზედ სასურსათო საქმის კარგად დაყენებას. 2) კონფერენციას აუცილებლად საჭიროდ მიაჩნია სასურსათო კომიტეტში მუშა-მოსამსახურეების სტატის გაწმენდა სასურსათო კომიტეტთან შეთანხმებით და იქიდან არა სასურველი პირობის დაუყოვნებლივ დათხოვნა. 3) თანახმად უკანასკნელი ყრილობის დადგენილებისა, აუცილებლად გადაყენებულნი უნდა იქნან სამსახურიდან და პასუხისმგებში მიტოვდნენ ის პირები, რომელთაც ბრალდებით სასურსათო კომიტეტის ფულების გაფლანგვა და ყველა მათი, ვისაც გამოძიებელი კომისია იცნობს დამნაშავეთ. კონფერენცია თხოულობს მოყვანილ იქნას სრულად ის, რაც ყრილობამ დაადგინა, ესე იგი: ხაზზედ კოოპერატივების გაღება და მოძრავ ღუქების დაარსება.

**4 მარტის სხდომა შრომის სისტემა**

მოხსენებას ამის შესახებ აკეთებს ვ. ცენტარაძე. ამხანაგებო!—ამბობს ის,—არც ერთი საკითხი, რომელიც კონფერენციას აქვს დღის წესრიგში განსახილველად, იმდენად სერიოზული და მნიშვნელოვანი არ არის ჩვენთვის, რამდენადაც შრომის საკითხი. ჩვენი რესპუბლიკა, ჩვენი ქვეყანა დღეს საშინელ ეკონომიურ და ფინანსიურ კრიზისს განიცდის. პოლიტიკურად ჩვენ სრული თავისუფლება გვაქვს, ამ მხრივ უზრუნველ ყოფილი ვართ, მაგრამ ეკონომიურად არც ერთ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას ხანგრძლივი არსებობა არ შეუძლია, თუ ის შეთანხმებული და შეფარდებული არ იქნება ეკონომიურ ცხოვრების განვითარებასთან. ამ მხრივ ჩვენ დამოუკიდებლობას და თავისუფლებას საშინელი საფრთხე მოელის. 5 წლის საშინელმა და უმაღალითო მსოფლიო ომმა მთელი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება არივ-დარია, წარმოება მოსპო, მეურნეობა განადგურა. თვით ეკონომიურად ძლიერი და განვითარებული ქვეყნებიც კი, როგორც არის ამერიკა, ინგლისი და გერმანია, ვერ

გადურჩენ ამ საერთო უბედურებას, და დღეს იქაც კი ვხედავთ ეკონომიურ კრიზისებს,—ეკონომიურ გაჭირვებას. ყველაზე უფრო მწვავედ ამ მდგომარეობას მუშათა კლასი, პროლეტარიატი გრძობს. წარმოების განვითარებას, ეკონომიური ცხოვრების აღორძინებას ბევრი მიზეზები უშლიან ხელს, და ერთი ამ მიზეზთაგანი არის შრომის ნაყოფიერობის დაცემა წარმოებაში.

სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ ერთი რამ: რევოლიუციის შემდეგ არ დარჩენილა არც ერთი წარმოების დარგი, სადაც შრომის ნაყოფიერობა არ დაცემულიყოს. ზოგიერთ დარგში 400—500 პროცენტით დაეცა შრომის ნაყოფიერობა, ამ გარემოებას მუშათა ორგანიზაციებმა კარგა ხანია ყურადღება მიაქციეს, და შესაფერზომბესაც მიახრთეს. მუშათა მოწინავე წრეებში შრომის ნაყოფიერობის დაცემის საკითხი დღეს დღიურ კითხვად არის გადაქცეული, ამაზე მსჯელობენ, კამათობენ და ცდილობენ გამოანახონ ის გზა და საშუალებანი, რომელიც შესაძლებელს გახდის წარმოებაში შრომის ნაყოფიერობის აწევას, და ეს არც გასაკვირალია, რადგანაც არც ერთი კლასი, არც ერთი საზოგადოების ნაწილი იმდენად დაინტერესებული არ არის წარმოების განვითარებაში, რამდენადაც მუშათა კლასი.

ჩვენმა მთავრობამაც მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება. შრომის სამინისტრო უკვე მუშაობს ამ ნიადაგზე და იმუშავებს მთელ რიგ ზომებს. თქვენ იცით ცენტრალური გამგეობის აზრი ამ საგანზე, ჩვენ პრესაშიაც ბევრი დაიწერა ამის შესახებ და იწერება ეხლაც. ადმინისტრაციასაც აქვს ერთგვარი თავისი შეხედულება და გეგმა ამ საკითხზე. მას საჭიროდ მიაჩნია და მოახოვს კიდევაც ძველი შრომის პირობების აღდგენას, საქონლის სადგურების მუშებისათვის არტელური სამუშევრების შემოღებას, შემანქანე კონსტრუქციებისათვის „პრემია“ „ვერსტაგების“ დანიშვნას და სხვა.

ცენტრალური გამგეობა კი სულ სხვა გვარად უყურებს ამ საკითხს. ჩვენ პრინციპილურად არასოდეს არ ვყოფილვართ არტელების წინააღმდეგი და არც დღეს ვართ, რადგანაც კითხვა არტელების არ არის კითხვა პრინციპის, არამედ ეს არის კითხვა ტაქტიკის, დროის და გარემოების. ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ თვითონ ვართ მომხრე არტელური სამუშევრების შემოღების, და ზოგჯერ კი წინააღმდეგი. ცენტრალურ გამგეობას დღევანდელ პირობებში შეუფერებლად და მიზანშეუწყონელად მიაჩნია რკინის გზაზე არტელური სამუშევრების და „პრემია“ „ვერსტაგების“ შემოღება.

თქვენ იცით არტელების ისტორია, იცით ისიც, რომ ზოგიერთ არტელებ-

ზე დღეს რამოდენიმე ათასსაათის ითვლება, და რკინის გზაზედ მუშაობის ტრაციამ არც კი იცის თუ საიდან აიღოს ეს ათასები. ქურდობა-მეჭრთა-მეობას და ბოროტ-მოქმედებას არტელობის დროს ყოველთვის მეტი გასავალი ქონდა, ვინემ სხვა დროს. ამაში დღეს თვით ადმინისტრაციაც დარწმუნებულია. აქვე უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოება. ჩვენი მუშა-მოსამსახურეები ფსიხოლოგიურად ვერ შეურიგდებიან არტელურ და ნარდ მუშაობას. მე დარწმუნებული ვარ არტელური სამუშევრების შემოღებასთან მოყვება ორგანიზაციებში მომუშავე და პატიოსან მუშაკების წასვლა და სამსახურის მიტოვება. ეს გარემოება არამც თუ ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების აწევას, არამედ დამლუბველ გავლენას იქონიებს როგორც რკინის გზის საქმეზე, ისე წარმოებაზედაც...

სამაგიეროდ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია შემოღებულ და განხორციელებულ იქნას შემდეგი პირობები. ყველა დარგში, სადაც ეს საჭირო და შესაძლებელი არის, შემოღებულ უნდა იქნას შრომის ნორმირაცა ანუ შრომის რეგისტრაცია. ეს წესი შემოღებულია დღეს როგორც სხვა წარმოების დარგში, ისე მთავარ სახელოსნოშიაც. შრომის რეგისტრაციის შემოღებამ შრომის ნაყოფიერება ერთი ორად ასწია. ამის ინიციატივა თვით მუშებს ეკუთვნის და ნაყოფიც კარგი აქვს. შრომის ნაყოფიერების აწევას სხვათა შორის ხელს უშლის შესაფერისი ადმინისტრატორების უყოლობაც. მართალია, არიან თითო ოროლა პირები, რომლებიც არ ზოგავენ არც თავის შრომას, არც თავის გამოცდილებას, მონდომებული არიან საქმე კარგად დააყენონ, მაგრამ მაინც ვერაფერს ვერ ხდებიან, რადგანაც დიდი უმრავლესობა არაფრის გამკეთებელია. ასეთ პირობებში იმათაც ეკარგებათ ხალისი მუშაობისა. ჩვენის აზრით, საქმის უცოდინარნი და უმოქმედო ადმინისტრატორები აუცილებლად დათხოვნილ უნდა იქნენ სამსახურიდან. ადმინისტრატორების მიღების დროს უნდა ვხელმძღვანელობდეთ არა მარტო პარტიული იარლიკით, არამედ, უმთავრესად, მისი ცოდნით და საქმიანობით. წინათ რკინის გზაზე არსებობდა სამსახურში წარმატება. თავის მოვალეობის და სამსახურის კარგად ამსრულებელ მუშა-მოსამსახურეებს უმატებდნენ ჯამაგირებს, აძლევდნენ შეღავათებს და სხვა.

დღეს კარგი და გლახა მოსამსახურის შრომა ერთ ნაირად ფასდება, ზოგიერთ შემთხვევაში პატიოსან, მშრომელ, გამოცდილ და ერთგულ მოსამსახურის შრომა უფრო ნაკლებად არის დაფასებული, ვინემ უფარგისის და უმოქმედო აგენტის შრომა. ასეთი მდგომარეობა ჩვენ არა ნორმა-



ლურად მიგვაჩნია. მოსამსახურე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი შრომა დაფასებული იქნება შესაფერისად. ამ შემთხვევაში ის უფრო დაინტერესებული იქნება და ეცდება კიდევაც თავისი მოვალეობა და სამსახური პირნათლად შეასრულოს, რადგან ეცოდინება, რომ მას ამისთვის ჯამაგირსაც მოუმატებენ და სამსახურშიდაც წინ წასწევენ. ძალიან ხშირად სამსახურის თავის რიგზე აუსრულებლობა შედეგია მოსამსახურის მოვალეობის არ ცოდნის. დღეს ბევრ საპასუხისმგებლო საქმეზე დაყენებული არიან სრულიად გამოუცდილი პირები. არის ასეთი შემთხვევა, როდესაც უბრალო კანტორის მოსამსახურეს სადგურის უფროსად ან მის თანაშემწედნიშნავენ. წინა დამოცდებს ახდენდენ, მოსამსახურეებს დარიგებებს აძლევდენ, დღეს კი ამას ჩვენ ვერ ვხედავთ. ამიტომ აუცილებელ საქმეებზე მიგვაჩნია მოსამსახურეების დამოცდების მოხდენა. ჩვენი მუშა-მოსამსახურეების დიდი უმრავლესობა დღეს რკინის გზას ისე უყურებს, როგორც ამას უყურებდენ თვით-მპყრობელობის დროს. რკინის გზა თითქოს ვიღაცასი, გარეშესი იყოს, და თავის ინტერესების დაცვას რაც შეიძლება მეტ წაგლეჯაში ხედავენ.

რკინის გზა დღეს სახელმწიფოს, დემოკრატიის საკუთრებაა, და როგორც ასეთს მას უნდა ვუყურებდეთ როგორც დემოკრატიის საქმეს. წარმოების განვითარება, — ეს მუშათა კლასის განვითარებაა, ამასვე არის დამოკიდებული ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, ჩვენი წინსვლელობა და მომავალი. კავშირების მოვალეობა და მისი პირდაპირი მიზანია შეგნებისას მუშა-მოსამსახურებს ეს სინამდვილე და დებულება. რკინის გზის მუშა-მოსამსახურეები დღეს საშინელ ეკონომიურ კრიზისს განიცდიან. უნდა მივიღოთ შესაფერისი ზომები მათი ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ნივთიერად უზრუნველყოფილ მუშა-მოსამსახურეებს ყოველთვის მეტს მოვსთხოვთ და ამისი საშუალებაც გვექმნება. აგრეთვე საქირთა დაწესებულ იქმნას საერთო პასუხისმგებლობა. წინათ არსებობდა შიში, დღეს აღარც შიში არის და აღარც თავის მოვალეობის შეგნება. მოსამსახურეები სრულიად უპასუხისმგებლოთ გრძობენ თავს; ამ მდგომარეობას აუცილებლად ბოლო უნდა მოედლოს. აი, ამხანაგებო, ის ზომები, რომლის განხორციელებასაც აუცილებელ საქმეობთ სთვლის ცენტრალური გამგეობა შრომის ნაყოფიერების ასაწევად და საერთოდ რკინის გზის საქმეების ნორმალურ პირობებში ჩასაყენებლათ. ჩვენ გვჯერა და დარწმუნებულიც ვართ, რომ თქვენი დახმარებით ცენტრალური გამგეობა შესძლებს ამის განხორციელებას.

**ძამანაშვილი.** სახელმწიფოს არსებობა დამოკიდებულია მის ეკონომიურ მდგომარეობაზე და თუ ეკონომიური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, ეს წითელი სუფრა, რომლის გარშემო ჩვენ ეხლა შამომსხდარი ვართ, ხელიდგან გამოგვეცლება. უწინ ყველა დარგში ნარდათ მუშაობა იყო შემოღებული, მაგრამ ეს ვერ შევლიდა საქმეს და ბოროტებას მრავლად ჰქონდა ადგილი. ყველა არტელურ სისტემაში იყო დიდი ბოროტება, რადგანაც მათ სათავეში იყვნენ სწორეთ შეუფერებელი და მანვე პირები. ბოროტმოქმედებას ჰქონდა ადგილი განსაკუთრებით იმიტომ, რომ ადმინისტრაცია მხოლოდ ხელის მოწერისთვის არსებობდა. ყველაფერი ეს მოსპორეული იყო; მის მაგიერ საქირთა განდა რაიმე სხვა ფორმის შემოღება, ვინაიდან წარმოება დაეცა. როცა ჩვენ შარშან მოგვაწოდა ადმინისტრაციამ ისევე ნარდათ მუშაობა, ჩვენ კატეგორიულად უარი ვუთხარით, მაგრამ მასთან ერთად იძულებული გახდით შრომის უნარი გაგვეორკეცებოდა და ამიტომ დაეთანხმდით შემოღებულიყო ერთნაირი შრომის ნორმირაცა. მუშას ეძლევა განსაზღვრულ საათში განსაკუთრებული სამუშეო, რაც მან უნდა შეასრულოს. ასეთმა ნორმების შემოღებამ ჩვენ დიდი სარგებლობა მოგვტანა. ამიტომ ის უნდა შემოვიღოთ სხვა დარგებშიც, სადაც ეს შესაძლებელია, როგორც მუშებში და სხ.

**უგლავა.** შრომის დაცემის მიზეზები საერთოა. ამხ. ცენტრალური მოხსენება სრულიად დამომატველია მუშათა შეხედულების. ადმინისტრაციის უმოქმედობა აშკარად ამტკიცებს მუშაობის ნაყოფიერებას. მე არტელების პრინციპილურად წინააღმდეგი ვარ, რადგან ეგ იგივე ნარდი მუშაობაა, რომელსაც ჩვენ ვერ შევურიგებთ.

**გიორგაძე.** შრომის „ნორმირაცა“, ეს იგივე ნარდი მუშაობაა, რომლის დაშვება არ შეგვიძლია. ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია შრომის ნაყოფიერების აწევა, არის მუშა-მოსამსახურეების კულტურულად აღზრდა. ამ მხრივ მე სრულიად ვიზიარებ მომხსენებელის აზრს.

**ნინუა.** რკინის გზას დღეს არა ჰყავს შესაფერისი და გამოცდილი ხელმძღვანელები. კავშირი, როგორც ასეთი, ვერ აიღებს რკინის გზის საქმეს ხელში, ადმინისტრატორები კი უმოქმედონი არიან. მომხსენებელის დებულებები მისაღებია, მარა კითხვა იმალება, ვინ უნდა განახორციელოს ყველა ეს? საქირთა ეს იარაღი იყოს სანდო და გამოცდილი პირების ხელში. კამათის შემდეგ კონფერენცია დებულებას ამხ. ცენტრალურსაგან წარმოდგენილ რეზოლიუციას:

1) ყოველ დარგში, სადაც ეს საქირთა და შესაძლებელი არის, შემო-

ღებულ იქმნას შრომის ნორმირაცა ანუ შრომის რეგისტრაცია. 2) სამსახურიდან დათხოვნილ იქნან ის აგენტები და ადმინისტრატორები, რომლებიც თავისი უცოდინარობით და უმოქმედობით ხელს უშლიან წარმოების განვითარებას. 3) პატიოსან, მშრომელ, ერთგულ და გამოცდილ მუშა-მოსამსახურეებისათვის შემოღებულ და დაცულ იქნას სამსახურში წარმატების პრინციპი. 4) მოეთხოვოს რკინის გზის მმართველობას მოახდინოს მოსამსახურეების გამოცდები, სადაც მონაწილეობას უნდა დებულობდეს კავშირის წარმომადგენელიც. 5) დაქირავებულ იქნას რაიონებში კავშირის ხარჯზე იმისდა მიხედვით, თუ სად როგორი საქირთაა, პროფესიონალური მუშაობის მცოდნე ამხანაგები — მუშა-მოსამსახურეებში კულტურული მუშაობის საწარმოებლად. 6) გაუმჯობესებულ იქნას მუშა-მოსამსახურეების ეკონომიური მდგომარეობა. 7) დაწესებულ იქნას ყველასათვის საერთო პასუხისმგებლობა თავისი მოვალეობის შესრულებაში, დამანაშევენი სასტიკად დასჯილი. კონფერენცია პრინციპილურად წინააღმდეგი არ არის არტელურ სისტემის შემოღებისა, მარა დღევანდელ პირობებში რკინის გზაზე არტელების, პრემიების და გერსტავოების შემოღება დაუშვებლად და მიზან-შეუფერებლათ მიაჩნია.

(გაგრძელება იქნება)

**პვირიდან პვირაშვი**  
საქართველოში.

— დამფუძნებელმა კრებამ მთავრობის თავმჯდომარეთ აირჩია ნ. ჟორდანიანი, რომელსაც მიენიჭა რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობის უფლება.

— ჩვენმა საგარეო საქმეთა მინისტრმა აცნობა ადერბეიჯანის მთავრობას, რომ ახალციხის მაზრას საქართველოს მთავრობა სთვლის საქართველოს ტერიტორიის უდავო ნაწილად. ამიტომ ადერბეიჯანის მთავრობის ნოტას ამ საკითხის შესახებ საქართველოს მთავრობა ჩასთვლის თავის შინაურ საქმეებში ჩარევად.

— ადერბეიჯანში გასატანად სქართველოში იარაღს ყიდულობენ. ამ საქმეზე 16 კაცი იქნა დაპატიმრებული.

— 11 მარტს ნაშუადღევს 4 საათზე სახალხო გვარდია და ჯარი აბასთუმანში შევიდა.

— ფოთში 12 მარტს ზღვაში ჩაშვებული იქნა ახალი გამანადგურებელი „პატარა კახი“.

— ბრიტანეთის მისია უარყოფს ვაზეთებში მოთავსებული ცნობას, თითქოს ბრიტანეთის მთავრობას არ ებრძანებინოს გენ. დენიკინისთვის სოკის ოლქის დაცლა.

— ახალციხის ფრონტზე სოფლები მორჩილებას უცხადებენ ჩვენ მთავრო-

ბას და ასრულებენ უცხადებელ პირობებს.

**უცხოეთში**

— გერმანიის საგარეო ულოტის ჩაძირვის შემდეგ, რომელიც დროებით ზავის პირობების თანახმად უნდა მოხდეს, მოკავშირენი სურსათს მიაწვდიან გერმანიას ავვისტომდე.

— უკრაინის დელეგაციას ნება დართეს ბერლიდან პარიზში ჩავიდეს და საზავო კონფერენციას გააცნოს უკრაინის მოთხოვნები.

— ბერლინში ახალი საერთო გაფიცვისთვის მხურვალე პროპაგანდა სწარმოებს, დამოუკიდებელი სოციალისტები მხარს უჭერენ სპარტაკელებს და აღიარებენ პროლეტარიატის დიქტატურას.

— ზემო სილეზიაში პოლონელები განაგრძობენ გერმანიის საღარაჯოებზე თავდასხმას.

— კლემანსოზე თავდასხმელ კოტენს სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

— საბერძნეთის საქმეების კომისია ვერ შეთანხმდა საბერძნეთის ტერიტორიის საკითხში.

— მოჰკლეს ავღანისტანის ემირი. მკვლელობის მიზეზი გაურკვეველია. დააპატიმრეს ორი.

— ამერიკის მუშა ქალთა წარმომადგენლებათ საზავო კონფერენციაზე ვილსონმა დანიშნა ორი ქალი, რომლებიც პარიზში ჩასვლამდე ლონდონში მივლენ მუშა ქალთა ორგანიზაციებთან სათათბიროთ.

— ნიუ იორკში სომხების, ბერძნების და ებრაელების მრავალრიცხოვანმა კრებამ ვილსონს სთხოვა, რათა მან საზავო კონფერენციაზე მხარი დაუჭიროს სომხეთის და ებრაელთა სახელმწიფოების აღდგენას ოსმალეთის ფარგლებში.

— პოლონეთის სამხედრო შტაბის ცნობით პოლონელებმა ბალშევიკები დაამარცხეს.

— ბერლინში სასტიკი სამოქალაქო ომია. მოკავშირეთა ჯარები ოდესიდან მიდიან. ხერსონი მოხალისეთა ჯარმა დაიკავა.

**რუსეთში.**

— უცხოეთის ჯარები ადესას ახლო მომავალში დასტოვებენ. ყუბანის ყაზახები დონის ყაზახებს არ შევლიან საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში.

— ნიკოლაევი საბჭოთა ჯარებმა აიღო. დონის ოლქში ბალშევიკები ცარიცინის მიმართულებით წინ მოიწევენ. სტავროპოლის მიმართულებით მათმა ჯარმა დაიკავა სადგური ტორგოვია.

— უკრაინის სამხრეთით ბალშევიკები იმარჯვებენ.

— ლატვიაში და რუსეთის სხვა ფრონტებზე თეთრ გვარდიელებთან მკაცრი ბრძოლები სწარმოებს.

— მოსკოვში დიდის ამბით დასაფლავეს გარდაცვალებული ც. ა. კ. თავმჯდომარე სვერლოვი.

### უკანასკნელი კასუსი გ. „ელი“

გაზ. „ერთობის“ № 63-ში ბ. „ელი“ გვიპასუხებს ჩვენს პროტესტზე და უკვირს თუ სად იყო მის წინანდელ წერილში რკინის გზის დემოკრატიის უდიერად ხსენება. ალბათ ბ. „ელი“ მესხიერება დალატობს ან უძნელდება თავისივე წერილის აზრის გაგება. გვითხარით, ნუ თუ არაა უდიერი და საწყენი თქვენი სიტყვები: „ამავე დროს რკინის გზას და მილიციას აქვს ცალკე გაზეთები, თუმცა ჩვენს მთავრობას უსახსრობის გამო ვერ მოუხერხებია დროზე აძლიოს ჯამაგირები თანამდებობის პირებს... ცოტა ქვემოთ ბ. „ელი“ პირდაპირ უსვამს მილიციას კითხვას, გვითხარით საიდან გაქვთ ეს ფულებიო. ნუ თუ ასეთი პარალელის გატარება და ამგვარათ კითხვის დასმა რკინისგზელებისთვის არ უნდა იყოს საწყენი მაშინ, როცა ავტორს არ უნდა გაისარჯოს და გაიგოს თუ საიდან აქვს მართლა რკინის გზის ორგანოს სახსარი?

ჩვენ სრული საბუთი გვქონდა შეურაცხყოფილად გვეცნო თავი ბ. „ელი“ წერილით და გვეგონა ავტორიც გაიგებდა ბოლოს, რომ ის მეტად უსამართლოდ და უდიერად მოეპყრა რკინის გზის დემოკრატიას, მაგრამ მოგტყუილდით.

იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენს გაზეთში პოლიტიკური ხასიათის წერილები მეტი იბეჭდება, მოჰყავს რუსული ორგანოს № 11 და ამბობს: „უზარმაზარი წერილია თებერვლის რევოლუციასზე“, „სანიშნოთ ვადათვალე რეთ აღნიშნულ ნომრის ორივე გამოცემა და აბა თუ იპოვით ერთ წერილს პროფესიონალურ მოძრაობაზეო“.

ჯერ ერთი, რომ პოლიტიკური ხასიათის წერილების მოთავსება იმდენათ, რამდენათაც მათ კავშირი აქვთ მუშათა კლასის პოლიტიკასთან, ჩვენ არ მიგვაჩნია ცოდნით. ამას გარდა, ბ. „ელი“, თქვენ ალბათ აქაც ზერელეთ გადაათვალე რეთ ეს გაზეთი, თორემ „უზარ-მაზარ წერილთან“ ერთად დაინახავდით წერილებს სკოლებზე, კავშირის პროფ. კონფერენციასზე, ცენტრ. გამგეობის კრებებზე და სხვა პროფესიონალურ საქმეებზე.

თუ დაკვირვებით გადაათვალე რეთ ჩვენს ორგანოებს, იქ თქვენ აუცილებლად იპოვით, რომ პროფესიონალურ საკითხებს ნომრის 2/3 ადგილი უკავია მაშინ, როცა პოლიტიკურ საკითხებზე შეიძლება 1—2 წერილი იყოს მოთავსებული.

თქვენ რომ თავისთვის ძალა დაგეტანებიათ და დაკვირვებით გადაგეკითხათ ჩვენი გაზეთები, იქ აუცილებლად ნახავდით წერილების მთელ

რიგს პროფესიონალურ კავშირებზე და მათ დანიშნულებზე, სადაც ყოველ მხრით, რამდენადაც შესაძლებელი იყო, გაშუქებული იყო პროფესიონალური მოძრაობა საზღვარ გარედ და ჩვენში. იპოვით აგრეთვე წერილებს კავშირების კულტურულ ამოცანებზე, მუშათა კოოპერაციასზე, მუშათა მოძრაობაზე ნორვეგიაში, გაფიცვის ფონზე და სხვა მრავალ პროფესიონალურ კითხვებზე.

მაგრამ. სამწუხაროდ, თქვენ გააშუქეთ საქმე ტენდენციოზურად ეს კი არაა მოსაწონი.

#### რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა პროფ. კავშირის ცენტრალური გამგეობა.

### რკინის გზის პროფ. კავშირის ცენტრალურ გამგეობაში.

27 თებერვლის სხდომა.

**ფურნის გაფიცვა.** სასურსათო ფურნის გაფიცვის შესახებ კრება, დაეთანხმა საგამომძიებლო კომისიის აზრს, რომ საქმე გამოიძიოს ახალმა კომისიამ, შემდგომში შემდეგი ორგანიზაციების მიერ: 2 წარმომადგენელი კავშირთა კავშირისაგან, 1 ცენტრ. გამგეობისაგან, 1 ცენტრ. სასურს. კომიტეტისაგან, 1 შრომის სამინისტროსაგან და სათათბირო ხმით მთელი შემადგენლობა ძველი კომისიისა. თავის წარმომადგენლათ კომისიაში ცენტრ. გამგეობამ აირჩია შავგულიძე.

**უშვერიძის საქმე.** გამგეობამ მოისმინა თბილისის დეპოს უფროსის თანაშემწის უშვერიძის საქმე, რომელმაც თავის საჭიროებისთვის გააკეთებინა კარები სახაზინო მასალით და ბრიგადირის კამრაკოვის საქმე, რომელმაც დაკითხვის დროს დამალა საქმის სინაღვილე. გამგეობამ დაადგინა მოხსნილი იქნას უშვერიძე ძველი ადგილიდან და გადაიდეს დეპოს უფროსის განკარგულებაში სხვა ადგილზე დასანიშნავად. გამოეცხადოს როგორც მას, აგრეთვე ბრიგადირს კამრაკოვის სასტიკი საყვედური კავშირის მიერ წინადადებით, რომ მომავალში მსგავსი დანაშაული მათ მიერ დაშვებული არ იქნას.

**ქუთაისის სასურსათო კომიტეტი.** კრებამ მოისმინა საქმე ქუთაისის ყველა სასურსათო კომისიის წევრების მიერ ჩადენილი ბოროტ-მოქმედება, რომლის შესახებ დადგენილება ცენტრ. გამგეობისა გაგზავნილი იქნა ქუთაისის რაიონის გამგეობაში, რომ უკანასკნელს გამოეთქვა თავის აზრი ბრიტანჩუკის და ცირეკიძის შესახებ. გამგეობამ დაადგინა ბრიტანჩუკის შესახებ გადაწყვეტილება ცენტრ. გამგ. 30 იანვარს დარჩეს ძალაში, ხოლო ცირეკიძე, დათხოვნის მაგიერ, ჩამოყენებულ იქნას მემსრეთ ერთი წლით, ხოლო შემდეგ აღდგენილი იქნას თავის თამამდებობაზე.

### სამგლომინარო წერილი

სამტრედიის რაიონული რკინის გზის პროფესიონალური კავშირი გამოსთქვამს თავის უღრმეს მწუხარებას სომხის ფრონტზე ქრილობის მიღებით გარდაცვალებულ ამხანაგ გვეგლიას დაკარგვის გამო. ქირისუფალთ და ამხანაგთ ჩვენი თანაგრძნობა!

სამგ. რაიონ. კავშ. გამგეობა.

### კავშირის სსოპრება

მიმართვა

რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ ამ დღეებში მიმართა ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეებს და მწერლებს შემდეგი თხოვნით:

რკინის გზის პროლეტარიატი, როგორც შავი რეაქციის დღეებში, ისე აშკარა რევოლუციონურ ბრძოლის ხანაში უცვლელად ასრულებდა მოწინავე რევოლუციონურ რაზმის როლს. უკანასკნელი წლების მსოფლიო ამბებმა საკმაოდ დაამტკიცეს ეს თვალსაჩინო როლი რკინის გზის დემოკრატიისა საქართველოს ნორჩ რესპუბლიკის შენების საქმეში. მაგრამ თავის თავად ცხადია, სამუდამოდ განმტკიცება დემოკრატიზმისა რესპუბლიკაში შესაძლოა მხოლოდ მასის პოლიტიკურად და სისტემატიური აღზრდით.

ეს ქვეშაობა, რომელიც არ თხოულობს ზედმეტ მკიცებას, სრულიად შეგნებული აქვს რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირს, რომელიც ყოველივე ღონეს ხმარობს, რომ წარმატებით გაატაროს ცხოვრებაში ეს ქვეშაობა, და ამავდროს შესაფერ ნიდაგზე დააყენოს რკინის გზის დემოკრატიის კლასიური გათვითცნობიერება. ამ მიზანს სრულეებით ემსახურებიან კავშირის ორგანოები „თავისუფალი გზა“ და „სვობლნი პუტ“, მაგრამ ამ მიზნის განხორციელება ბრკოლდება სერიოზულ ძალეების უქონლობის გამო, რომელიც საჭიროა ყველა ფართოდ დაყენებულ პროფესიონალურ-პოლიტიკურ ორგანოსთვის.

საჭიროა ამ გაზეთების საჭირო სიმალეზე დაყენება, მით უმეტეს, რომ ისინი, როგორც მუშების გაზეთები, ფართოდ ვრცელდებიან (ტირაჟი უდრის 12000 ცალს) რკინის გზის დემოკრატიისაში. ამიტომ რკინის გზელთა პროფესიონალურ კავშირის ცენტრალური გამგეობა მოგმართავს თქვენ თხოვნით მიიღოთ აქტიური მონაწილეობა აღნიშნულ გაზეთებში, რაიც მისცემს კავშირს საშუალებას ასწიოს შესაფერის სიმალეზე რკინის გზელთა მასის პროფესიონალური და პოლიტიკური აღზრდის საქმე, რაიც, რასაკვირველია, ნაყოფს მოუტანს იმ პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებს

დღეს დემოკრატიის ნდობით საქმეები ვილი რესპუბლიკის მთავრობისთვის

### მილოცვა

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარემ შორაპნის რაიონულ გამგეობისგან მიიღო შემდეგი დეპეშა:

საქართველოს რკინის გზების შორაპნის რაიონის პროფესიონალურ კავშირის გამგეობა თქვენის სახით მიესალმება დამფუძნებელ კრების პირველ დღეს და უსურვებს ხანგრძლივ და ნაყოფიერ მუშაობას დემოკრატიის საკეთილდღეოდ.

### კახეთის რკინის გზა

პროფ. კავშირის ცენტრ. გამგეობაში.

**საქ. სახ. რკ. გზის ნავთლულის მოსამსახურეთა განცხადება.** საქ. სახ. რკ. გზის ნავთლულის მოსამსახურეებს, ადგილობრივი სექციის საშუალებით, წერილობითი განცხადებით მიუმართავთ კახეთის რკ. გზის ექსპლუატაციის უფროსისთვის, რომ ის სთავსო, რაც მათ ეძლევათ გახეთის რკინის გზის საშუალებას შესრულებისათვის, მეტად მძინარე და თხოულობენ ამ სთავსოვის გადადგას, წინააღმდეგ შემთხვევაში გაფიცვით ამუშაობან.

გამგეობამ დაადგინა: გაუგზავნოს მთელი მიწერ-მოწერა საქ. სახ. რკ. გზის კავშირის ცენტრალურ გამგეობას და აგრეთვე ეცნობოს მას ჩვენი მოსზრება.

**კონდუქტორების თხოვნა.** კახეთის რკინის გზის სამკაზარო მატარებლების მთავარ კონდუქტორებს შუამდგომლობა აღუძრავთ სამმართველოს წინაშე, რომ მიეცეთ მათ ჯილდო მატარებლებში უბილეთო მკაზარების აღმოჩენისათვის.

გამგეობის აზრით, ასეთი სსჩუქრები რკინის გზასზე არა თუ სპობს ბოროტებს, არამედ ხელს უწყობს მის განვითარებას, რადგან ასუსტებს მოსამსახურის მოფაღეფების გრძობას და ახვითარებს მასში უარყოფით მსარეებს; რკინის გზის ყოველი აკენტი ვადადებულა ჰარნათდად შესრულოს მასზე დაკისრებული მოფაღეფა, რისთვისაც ეძლევა მას განსაზღვრული ჯამაგირი. ამიტომ გამგეობამ დაადგინა: მოისპოს ყოველგვარი განსაკუთრებული ჯილდოს მიცემა მატარებლებში უბილეთო მკაზარების აღმოჩენისათვის. უკეთუ ამის გამო ვინმე გამოიჩენს სამსახურისადმი გულგრილობას და დაუდევრობას, იგი სასტყადა დაისჯება.

**ი. მეგენიშვილის თხოვნა.** სადაგურ ვანაძიანის უფროსმა ი. მეგენიშვილმა თხოვნით მიმართა გამგეობას, რომ მისი საქმე ხელახლად იქნეს განსილული და დასტოვონ ის კახეთის რკინის გზასზე სამსახურში და კავშირში.

გამგეობამ დაადგინა: რადგანაც ი. მეგენიშვილის საქმეში სასაღმა კარგი მუშაობა იმინა თავი, დაინიშნოს ხელახლად მისი საქმის გამოძიება. 21 თებერვლის დადგენილება მეგენიშვილის კავშირის წევრობიდან გამორიცხვის შესახებ ამით გაუქმდეს და, თანხმად გზის მმართველის რეზო-



დიუციისა, ჩამოყენებულ იქნეს ის სად. გაზიანის უფროსის თანხმებულად.

**კიოსკები.** გამგებობის გადაწყვეტილებით კახ. რკინის გზაზე—საგარეჯოში, გურჯაანში და წნორში უნდა გაიხსნას უფროსად-გაზეთების შეფ-კაისკები. ამ კაისკების გამგებთა გამგებამ დაინიშნა ტარტაკაფსკი, რომელიც დათხოვნილ იქნა სამართლებრივად ნაციონალიზაციის გამო.

### პარტიული ცხოვრება

5 მარტს შესდგა სამმართველოს რაიონის ს. ს. დ. მ. პ. მცირე კოლექტივის წევრთა კრება. თავმჯდომარეობს ანხ. ასათიანი. მდივანი კოშკაძე. დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება თბილისის კომიტეტიდან, 2) მოხსენება ადგილებიდან, 3) სანაკოვეის საქმე, 4) ქვეკოლექტივის არაწევრების კრებაზე დასწრების შესახებ, 5) ქვეკოლექტივის ფონდის დაარსება.

მოხსენებას თბილისის კომიტეტიდან აკეთებს ანხ. ასათიანი და აღნიშნავს, რომ თბილისის კომიტეტი მსჯავრს გამოსთქვამს შესახებ იმისა, რომ სასამართლოებში არსებობს უწყისობა და ბოროტმოქმედება. თავის მხრით კი თბილისის კომიტეტი იღებს ყოველწლიურ ზომებს, რათა მოხსნას სასამართლოში არსებული ბოროტმოქმედებანი. კრება ადგენს იქმნას მიქცეული ყუარადღება ვისიც ჯერ არს ამ მოვლენაზე და იქმნას მიღებული სასტიკი ზომები ბოროტმოქმედების თავიდან ასაშორებლად. მით უმეტეს იმ დაწესებულებაში, სადაც უნდა გამოიხატოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრინციპები.

სანაკოვეის სამსახურში მიღების შესახებ კრებამ აღიარა: ძველი ქვეკოლექტივის დადგენილება სანაკოვეის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ, იყო სამართლიანი. მაგრამ ის პირობები, როდესაც იყო დათხოვნილი სანაკოვეი სამსახურიდან, შეიცვალა. აგრეთვე მიიღო რა მხედველობაში, რომ სანაკოვეი გასწორდა და აღარ ჩაიდენს იმისთანა გამოვლენებს, როგორც იყო მის მიერ ჩადენილი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, რასაც ადასტურებდა საგამომძიებლო კომისია და სექცია, დაადგინა იმნას მიღებული სანაკოვეი სამსახურში.

მეოთხე საკითხის შესახებ კრებამ ერთის წინააღმდეგ და ერთის თავის შეკავებით დაადგინა: ვინაიდან ქვეკოლექტივის უნდებამ მუშაობა არა ჩვეულებრივ პირობებში, სცნობს საქიროდ ხდებოდეს სხდომა კოლექტივის არაწევრთა დაუსწრებლად. ზოგიერთ შემთხვევაში კი, თუ დაინახავს საქიროდ, თვით კოლექტივმა მოაწვიოს ესა თუ ის წევრი ს. ს. დ. მ. პ. იმფომაციისთვის.

მეხუთე საკითხის შესახებ მცირე კომათის შემდეგ კრება ავალებს კულტურულ განმანათლებელ კომისიას მოაწყოს ან კონცერტი და გამართოს სათანადო მოლაპარაკება მცოდნე პირებთან, რის შემოსავალიც შეადგენს ქვეკოლექტივის ფონდს.

### ბრძოლა გორის-მოქალაქებისათვის

16 მარტს შესდგა კრება, რომელზედაც დაესწრნენ გზათა უფ. კანდელაკი, მილიციის უფ. ბერძენიშვილი, ლიანდაგის მეექვსე უბნის უფ. კალატუხოვი, მოძრაობის უფ. აბელაშვილი, ჯავშნიანი მატარებლების უფ. ვ. გოგვაძე, მოძრაობის რევიზორი სამსონია, ჯავშნიანი მატარებლიდან სალუქვაძე, სადგურის უფ. კორძაია, საქ. სად. ზედამხედველი არევაძე, მატარებლების რევიზორი კომაია, სადგ. მილიციის უფ. მაგერ მაჭავარიანი, კავშირ. ცენტ. გამგებებიდან: ცენტრადე, ბოკერია, კუბრაშვილი, კავშირ. გამგებებიდან: გიორგაძე, თ. მეგრელიშვილი, ს. მეფთარიანი, ვ. ხუროძე, მ. ვაშაქიძე, გაჩეჩილაძე, სექციებიდან: ნ. ჯიბლაძე და ბულაშვილი. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ი. გიორგაძე, მდივანად ი. გაჩეჩილაძე.

თათბირმა მოისმინა ი. გიორგაძის მოხსენება, რომელშიც აღნიშნა: სად. თბილისში გამეფებულია ქურდობა და ძარცვა, როგორც ვაგონებიდან, ისე საწყობებიდანაც. იმ პირობა, რომლებსაც ამ ბოროტმოქმედებებთან აქვთ დაკისრებული ბრძოლა, ვერ შესძლებს მათი აღფრთხილება.

ორგანიზაციულ ბოროტმოქმედების აღმოსაფხვრელად ორგანიზაციულივე ბრძოლაა საქირო, რისთვისაც საქიროთ სთვლის იქნეს არჩეული კოლეგია, რომელიც გამოიმუშავებს ზომებს ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ მისაღებად.

კოლეგიას უნდა აღმოუჩინონ შესაფერი დახმარება ყველა არსებულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა, რათა მათი მუშაობა უფრო ნაყოფიერი დარჩეს.

თათბირმა ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ აირჩია კოლეგია, ხუთი პირისგან შემდგარი.

თათბირის დადგენილებით კოლეგიამ უნდა შეიმუშაოს ინსტრუქცია და მის ცხოვრებაში გასატარებლად ირჩევს ერთ პირს.

### რკინის გზის ამბები

**სამსახურის ჩათვლა პოლიტიკურთათვის.** მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელის განკარგულებით რკინის გზის მოხელეთ, რომელნიც ძველი წყობილების დროს პოლიტიკურ წყობილების გამო იყვნენ დათხოვნილნი, სამსახურში უკან მიღების დროს

უნდა ჩათვალოთ სამსახურში გაცდენილი წლები იმ ვარაუდით თითქოს ისინი ამ ხნის განმავლობაში განთავისუფლებულნი იყვნენ სამსახურისგან უჯამაგიროდ და ყოველ გვარ ანგარიშის წარმოების დროს, როგორც საპენსიო ისე სამსახურში წარმატების თუ სხვა გვარ შემთხვევებში, როცა სამსახურ წლების რაოდენობას მნიშვნელობა ეძლევა, ასეთ პირობებზე ვაგრცვლდეს ყველა ის უპირატესობანი, რომლებიც სარგებლობენ დანარჩენი მოსამსახურეები. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა პოლიტიკურად დასჯილი პირები მოკვებიან შტატს გარეშე დარჩენილთა რიცხვში. მათ უეჭველად უნდა მიეცეს სალიკვიდაცია თანხა გაცდენილ წლების გათვლით, სხვა მოსამსახურეებთან ერთად საერთო წესით.

**სომეხ მოსამსახურეთა შესახებ.** თანახმად გზათა უფროსის განკარგულებისა, ყველა სომეხი მოსამსახურე, რომელნიც სომეხ-ქართველთა შეტაკების დროს წარსულ წლის დამლეფს და ამა წლის დასაწყისს დათხოვნილ იქმნენ თანახმად გენერალ-გუბერნატორის განკარგულებისა, დაკმაყოფილებულ უნდა იქმნენ დღემდის მათი დათხოვნისა და მიეცეთ დახმარება საერთო წესით, როგორც შტატ გარეშე დატოვილთ, გარდა იმ დათხოვნილთა, რომელთა წინააღმდეგ აღძრულია საფუძვლიანი ბრალდება მოალატიეობისა და აგრეთვე რომელთა შესახებ გზათა უფროსის მიერ არის, ან იქნება განსაკუთრებული განკარგულება, რისთვისაც ყოველ ამისთანა შემთხვევაში წინასწარ უნდა მოხდეს შეკითხვა გზათა უფროსთან.

**რკინის გზის მილიციონერები.** მოძრაობის უფროსი აბელიშვილი აცხადებს: ყველა ის ზომები, რომელიც მიმართულია საქმის მოსაწესრიგებლად რკინის გზის ლიანდაგზე, უნაყოფოა, ვინაიდან მილიციის მხრივ მოსამსახურეები ვერ პოულობენ ვერავითარ დახმარებას. ყველა მატარებლების რევიზორები ერთ ხმაზე აპოწმებენ, რომ გარდა სად. თვითისის, ნავთლუდის და მცხეთისა, არსად მილიციონერები არ უხვდებიან მატარებლებს და იმათი იქ არ ყოფნით უბილეთო მგზავრები აქეთ-იქით იფანტებიან და არ არის საშუალება, რომ მათ გამოვართვათ ბილეთების ხვედრი ფული, რითაც დიდი ზარალი მოსდის რკინის გზას. ძარცვა და გლეჯა მილიციონერების ცხვირ წინ,—ამაზე ლაპარაკიც ზედ მეტია. მე ძალიან გთხოვთ მიიღოთ შესაფერისი ზომები, რომ მოსამსახურეებს შეეძლოს საერთო დახმარებას მიღება ყველა შემთხვევაში მილიციონერებიდან.

**საბაღოსნო სკოლის იჯარით აღება.** სასურსათო კომიტეტმა დაადგინა აიღოს იჯარით თბილისის საბაღოსნო სკოლა 3 წლით 40,000 მან. წელიწადში.

**დახმარების მიცემა.** სამოსწავლო კომიტეტმა დაადგინა წესები, რით მოსამსახურეებმა შეიძლება მიცემის საკითხი მთავრობასთან კოლექტიური ხელშეკრულობის დადებამდე

### წერილი რედ. მიხარტ

პასუხად ბ-ნ „ახალს“

„თავისუფალ გზის“ მე-5 №-ში ვინმე „ახალს“ მიერ მოთხოვნილი იყო წერილი ტყვებუდიდან, რომლითაც ის ამტკიცებდა, რომ ტყვებუდის სსშ-ს წინააღმდეგ მოსახურეთა რიცხვი გაცილებით დიდი და წარმოებისათვის სრულად შედგეტი, ვიდრე ამას საქმე მოითხოვს.

და მართლაც, ის ცნობები რომ სიმატლე იყოს, რომელიც მას მოჰყავს, მაშინ შეიძლება მართლაც შედგეტი ყოფილიყო სსშ-ს ტყვებუდის მოსამსახურეთა რიცხვი, მაგრამ ეს ასე არ არის.

და აი ფაქტებიც: „ახალს“ წერილის ცნობით იქ მსახურობენ:

- 1. დეპოს უფროსი . . . . . 1
  - 2. მანტიორი . . . . . 2
  - 3. მათი თანხმებულნი . . . . . 2
  - 4. ვაგონების გამწვანებულნი . . . . . 3
  - 5. მათი თანხმებულნი . . . . . 3
  - 6. გამსახველნი . . . . . 3
  - 7. ტექსტის ამნათები . . . . . 1
  - 8. ყარაული მოდარაჟე თათხისა . . . . . 1
- სულ . . . . . 16 კაცი

- ნამდვილათ კი იქ მსახურობენ:
- 1. ზეინგალი . . . . . 2
  - 2. მისი თანხმებულნი . . . . . 2
  - 3. ტექსტის ამნათები . . . . . 1
  - 4. ყარაული მოდარაჟე თათხისა . . . . . 1
- სულ . . . . . 6 კაცი.

აქედან აშკარად სჩანს, რომ „ახალს“ ექვსი კაცისთვის ათივე თითონ მიუმატებია და ამ მის მიერ შექმნილ სიყვალბეს თითხვე ებრძვის. სამწუხარო ის არის, რომ ასეთმა ცნობებმა შეიძლება შეიძლება შეტყობილი შეიქვანოს და ბ-ნ „ახალს“ მიერ მოგონილი სიყვალბე სიმატლე ეკანოს.

ჩვენ არ ვიცით, რა მოსახურებით ჩაიღინა ბ-ნმა „ახალს“ ასეთი არა საკადრისი საქმე, მხოლოდ ის კი ცხადია, რომ ამ გვარო ტყვებუდის პრესის საშუალებით საზოგადოებაში გავრცელება ქვეშაობილად დასაგმობი და გასაკიცხვავია.

### სახაზ. რკ. გზების სამმართველო

ზირველ მარტს შეიკრიბნენ ქუთაისის დეპოს მუშა-მოსამსახურეები. სხვათა შორის დღის წესრიგში იყო კითხვა ქუთაისის სასურსათო კამი უტის რამდენიმე წევრის არასასურველ მოქმედების შესახებ. მომხსენებელი ნესტორ კონრეიძე და აგრეთვე კამისიის წევრები აღნიშნავენ სასურსათო კამატეტის წევრების ბოროტმოქმედებას. მაგალითად, ამ რამდენიმე დღის წინადა ანაწილებდნ თევზს ამ კომიტეტის წევრები ვიქტორ ასენიძე, მიშა დოდბერაძე და ბაკრატ ჩხენკელი. თევზი (კობრი) უნდა განაწილებულიყო სულზე 2 ვარ., მაგრამ საუბედურად ეს

ს ი ა

მეომართათვის საშობაო საჩუქრებათ შეგროვილი და აგრეთვე ცენტრალური გამგეობის კომისიის მიერ შექმნილი ნივთებისა.

ასე არ მოხდა. რამდენიმე 2 კიბ. შა-  
გიერ მიიღო 5-10 კიბ., რამდენიმე  
კი დაჩნა უთუგზოდ და ერთი ფუთი კი  
ადმიწინა უსაბუთოდ დაკარგული. მასთან  
კომისიის აღნიშნავს, რომ სსსურსათო კომი-  
ტეტისგან გატანილი თუგზი, რომელიც  
დირდა I მ. 50 კ. კერძო შირების სელ-  
ში კი იყო აღებული 7 მან. ამავე დროს,  
როგორც ზევით აღვნიშნეთ, რამდენიმე  
მოსამსურვეები კი დაჩნენ უთუგზით. კრე-  
ბამ განიხილა და დადგინა გამგეობის  
ენდობისა აღნიშნულ შირებს შირების სა-  
შუალებით „თავისუფალ გზაში“.

კომისიის დასახელებულით კრ. თავმჯ.  
ფინორიძე,  
მდივანი ვასო მხეიძე.

მს. რედაქტორ!  
თქვენი გაზეთის „თავის გზა“-ს მე  
9 № შთავსებულა ბ. გ. ბურჭულაძის  
წერილი, რომელიც მიწვევს მე სამუდამ-  
ტარა სასამართლოში. დადის სამოქმედო  
ბით გვგებება მის სურვილს და ჩემი მხრივ  
ვნიშნავ შედარებით: 1. კრ. სოფე-  
რას, 2. კ. ვიბლას და 3. კ. ქაღიშვილს.  
ჩემი შედარებით ცნობრთუნ ქაღაქ  
ფუთში და რა დროსაც დამინიშნავს ბ.  
ბურჭულაძე შირად მოლაზარეების საშუალებ-  
ებით, იმ დროს წარმოვადგენ ჩემ შედარ-  
ტარებს, მხოლოდ არა უგვიანეს ერთი კვი-  
რისა დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა.  
ერ. ცხადია.

რედაქციის ფასტა

სამტრედიელ კორესპონდენტს „და-  
მსწრეს“. რედაქცია ხელმოუწერელ  
წერილებს არ ბეჭდავს. გარდა ამისა  
წერილი უნდა დაწერილი იყოს ერთ  
გვერდზე.

ბ. ბ.—ძეს. მაგ საკითხზე ბევრი და-  
იწერა. ზედმეტათ ვთვლით კვლავ  
დავუბრუნდეთ მას.

გ. ჯვარიშვილის. ცნობა თქვენ-  
ნი სამსახურიდან დაბოვნის შესახებ  
მიღებული იყო სამმართველოსგან. ამი-  
ტომ მთელი საბუთები თავის გასამარ-  
თლებლათ უნდა წარადგინოთ სამმარ-  
თველოში საქმის საქაროთ გამოსაძი-  
ებლათ და გასაშუქებლათ. გაზეთში  
ამ საბუთების ბეჭდვის ზედმეტათ  
ვთვლით.

ბ. პარმენ ნიკოლაიშვილს. როცა  
თქვენ იწვევთ ვინმეს სამედიატორა  
სასამართლოში, საქირა დასახელოთ  
თქვენი მხრით მოსამართლეები. გთხოვთ  
თქვენი მხრით დასახელოთ მოსამარ-  
თლეები და მერმეთ მისცეთ წინადა-  
დება მეორე მხარეს გაგყვეს სამარ-  
თალში.

ამს. სუფსელს. თქვენი წერილი  
„ღია წერილი“ სასურსათო კომიტე-  
ტისადმი. ასეთი წერილი კი უნდა  
პირდაპირ ხელმოწერილი იყოს. ამი-  
ტომ გთხოვთ გამოგზავნოთ სასელი  
და გვარის ხელმოწერით.

№. რ. რაიონობით	შეგროვილი ნივთების სახელწოდება	რაოდენობა შემოწირული ნივთებისა	რაოდენობა ფულით შეძენილი ნივთებისა	ჯამი	საღ ვის და რამდენი დაურიგ.			შენიშვნები
					რეინ. გზის საფინსკო. ში 49 დაბ. გვირდიელს	41 ლაზარე-თში 78 დაბ. რილ გვირდ.	სამხედრო-საფინსკო-ფოში 32-რისკაცებს	
1	ფართოსხლა . . . . .	—	1200 გ.	1200	250	390	542	დაღმა 18.
2	საშინი სარკესისა . . . . .	3 გ.	163 გ.	163	—	—	13	150 კიბ. ინახება ცენტ. გამგ.
3	შაშინისი სხვა და სხვა ფირ . . . . .	223 კ.	—	223	53	93	77	
4	შაშინისის ქაღალდი . . . . .	218 რგ.	—	218	50	93	75	
5	წუმწუმსა . . . . .	220 კ.	—	220	54	93	73	
6	საშინი სელისაშინი . . . . .	21 გ.	—	21	10	6	5	
7	ყარანდაშები, კაღმის ტარი . . . . .	24 გ.	—	24	7	8	9	
8	კანფეტები საფოსტო . . . . .	225 გ.	—	225	60	80	85	
9	ქაღალდი საფოსტო . . . . .	317 ფ.	—	317	60	102	155	
10	ღია წერილები . . . . .	16 გ.	—	16	—	8	8	
11	თხილი, კაჯალი, წაბლი . . . . .	7 გ.	—	7	—	3	4	
12	ქაღალდი უბრალო და ბანდერ . . . . .	36 ფ.	—	36	—	—	36	
13	ჩილი ვაშლის . . . . .	1 გ.	—	1	1	—	—	
14	კონსერვა . . . . .	1 კ.	—	1	1	—	—	
15	შაქარი . . . . .	8 გ.	—	8	8	—	—	
16	კრახმალი . . . . .	1/2 გ.	—	1/2	—	—	—	გაიუიდა 8 მან.
17	ნაცხვარი (შენუნთე) . . . . .	1 გ.	—	1	1	—	—	
18	ჩაი . . . . .	1 1/2 გ.	—	1 1/2	1 1/2	—	—	
19	თუთუნის დაჭრ. და დაჭრ . . . . .	30 1/2 გ.	—	30 1/2	—	16	14 1/2	
20	ხოთქი ფესსაგმელების . . . . .	3 გ.	—	3	—	2	1	
21	დანა ჯიბის . . . . .	2 გ.	—	2	1	—	1	
22	ჭაქა ჩაის . . . . .	2 გ.	—	2	—	—	2	
23	კაფეები ხის . . . . .	3 გ.	—	3	—	—	3	
24	შაზი ფესსაგმელების . . . . .	1 კ.	—	1	—	—	1	
25	ქულები . . . . .	3 გ.	—	3	3	—	—	
26	ცხვირსახსოცი . . . . .	2 გ.	—	2	2	—	—	
27	წინდა სამაჯე . . . . .	2 წყე	—	2	2	—	—	
28	ნემსები . . . . .	15	—	15	—	—	15	
29	შხესუშინისა (სემინკა) . . . . .	1 გ.	—	1	—	—	1	
30	მხორკა . . . . .	11 მანკა	—	11	—	—	11	
31	ბინტები . . . . .	34 ცაღა	—	34	—	—	—	ინახება ცენტრ. გამგეობაში.

საჩუქრები შეგროვილია ფოთის, სამტრედიის, ქუთაისის და სამართველოს რაიონული გამგეობის მიერ. ფულის ანგარიში გამოქვეყნდება შემდეგ ნომერში.

კომისიის წევრები: თეოფინე ფირანის ძე მეგრელიშვილი და ილია დავითის ძე ლალიძე.

გამგეობის წევრმა სილიბისტრო კა-  
ლაძემ სამტრედიიდან შორაპნამდე  
დაკარგა: ორი პირადობის მო-  
წმობა, რკინის გზის  
სამმართველოდან (ნომერი არ ახსოვს)

და შორაპნის რაიონულ გამგეობიდან  
№ 214, პარტიული წიგნაკი ს. ს. დ.  
მ. პ. წევრობის, სამგზავრო უსახელო  
ბილეთი მეორე კლასის № 322, შო-  
რაპნის რაიონულ გამგეობის სახელზე  
ექიმის მოწმობები და 90 მან. ფული.

მპონელს ვთხოვთ ფული დაიტო-  
ვოს და მოწმობები დაგვიბრუნოს.  
მისამართი: შორაპანი, რაიონული  
გამგეობა.

სარედაქციო კოლეგია.